საექსპერტო კვლევითი ჯგუფი

შ.პ.ს "ექსპერტ დეველოპმენტი"



LTD "expert development"

მტკვრის ქუჩა №6

ტელ: 599 002 004

Mail:expert_development@gmail.com

25/02/2021 წელი



შ ი ნ ა ა რ ს ი

ქ. თბილისი, სოფელ დიღომის მიმდებარედ (ს/კ 01.10.07.007.110) დაგვევალა შემოწმება ჩაგვეტარებინა არსებული მიწის ნაკვეთზე, დამკვეთის მიერ ჩატარებული საველე სამუშაოების მონაცემების საფუძველზე შედგენილი საინჟინრო გეოლოგიური დასკვნის შესაფასებლად.

დასკვნა შედგენილია შპს „გეოტექსერვისი"-ს მიერ (დირექტორი – გ. ბენდუქიძე, ინჟინერ გეოლოგი – ს. ღაღანიძე)

ექსპერტიზის მიზანს წარმოადგენდა გეოლოგიური კვლევის შედეგად მიღებული მონაცემებისა და მოცემული კვლევის შედეგების შესაბამისობა მოქმედ სამშენებლო ნორმებთან და სტანდარტებთან.

წარმოდგენილი პროექტის მიხედვით არსებულ მიწის ნაკვეთზე უნდა მოხდეს შვიდ სართულიანი, სარდაფის გარეშე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა.

საექსპერტოდ წარმოდგენილია აკინძული მასალა, რომელიც მოიცავს ტექსტურ ნაწილს და გრაფიკულ მასალას.

ტექსტური და გრაფიკული ნაწილი წარმოდგენილია 54 ნაბეჭდ გვერდზე, ხოლო გრაფიკული მასალა მოიცავს ტოპოგეგმას და ჭაბურღილების და უბნის ლითოლოგიურ ჭრილებს.

ტექსტური ნაწილის პირველი გვერდი წარმოადგენს ტექნიკურ დავალებას, ხოლო დანარჩენ გვერდებზე განხილულია ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური კვლევის ანგარიში, დასკვნა და რეკომენდაციები.



კვლევა

ტექსტურ ნაწილში აღწერილია გეომორფოლოგია, კლიმატური მონაცემები და ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური კვლევის სახეობა.

აღნიშნულია, რომ დამკვეთის მიერ, მონიშნულ ადგილებში, გეოლოგის მიერ გაყვანილი იქნა 3 ჭაბურღილი, თითოეული 12 გრძ/მ. საერთო მოცულობა 36 გ.მ.ს.

ჭაბურღილების მონაცემების მიხედვით გამოყოფილია გრუნტების ოთხი ფენა:

ფენა 1 – თიხნარი (pdQIV) ყავისფერი მყარი თიხა თეთრი და ჟანგისფერი შუაშრეებით

ფენა 2 – თიხნარი (pdQIV) ყავისფერი მყარი თიხები მარილების და წვრი ქვიშალინზების სუაშრეებით

ფენა 3 – თიხნარი (pdQIV) ყავისფერი თიხები ნახევრად მყარი. მარილების ,ქვისალინზების და თიხნარის შუაშრეებით

ფენა 4 – ქვიშები (aQIV) ქვიშა ღია ყავისფერი, წმინდა და წვრილ მარცვლოვანი, კენჭების 10-15%- მდე ჩანართებით, თიხაქვიშის შუაშრეებით და ლინზებით.

ძირითადი ქანები ლაბორატორიულად შესწავლილია და გამოყენებულია გეოლოგის მიერ წარმოდგენილ კვლევაში.

ანგარიშის განხილვის შემდეგ უნდა აღინიშნოს, რომ იგი შესრულებულია პროფესიულ დონეზე და აკმაყოფილებს ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნებს.



ტექსტური ნაწილის ბოლოს განხილულია უბანი საინჟინრო გეოლოგიური თვალსაზრისით და საინჟინრო გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით.

მოყვანილია უბნის სეისმურობა და გრუნტების კატეგორია სეისმური თვისებების მიხედვით.

ბოლოს მოცემულია გრუნტების ჯგუფები დამუშავების სიძნელის მიხედვით.

ნაგებობა კლასისი მიხედვით IV.

ჩატარებული გეოლოგიური კვლევის საფუძველზე, დასაშვებია საძირკვლის მოწყობა მონოლითურ ფილის საძირკველზე

კვლევის დროს გამოვლენილი ჰიდროლოგიური პირობები შესწავლილია ლაბორატორიულად და წარმოდგენილია დასკვნაში გეოლოგის მიერ.



დასკვნა

ქ. თბილისი, სოფელ დიღომის მიმდებარედ (ს/კ 01.10.01.07.007.110) საპროექტო დოკუმენტაცია, სადაც განხილულ იქნა სვიდ სართულიანი მრავალბინიანი სახოვრებელი სახლის მშენებლობისათვის გეოლოგიური მონაცემები ინჟინერ-გეოლოგის ს. ღონრაძეს მიერ, აკმაყოფილებს წარმოდგენილ მდგომარეობას. სამუშაოები შესრულებულია ადგილზე აღებული სინჯების საფუძველზე, ჩატარებული ლაბორატორიული კვლევეების და ფონდური მასალების გამოყენების დაყრდნობით, ჩატარებული კვლევის შედეგად წარმოდგენილ გეოლოგიურ სამუშაოებს ენიჭება დადებითი შეფასება.

ინჟინერ-გეოლოგი **გ. თოფურიძე**